საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა)

ბოლშევიკური ეკონომია ქალაქისა, [illegible]

კომუნისტი

№ 101

სამშაბათი 23 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მოწერა თვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 101 უოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა. № 101

უფრო მეტი აზრთა სიმარტივე!

ჩვენი სტატია „არ არის ყვამლი უცეცხლოთ“ (გაზ. „ახ. კომ.“ № 99) რიგორც ეტყობა არ მოსწონებიათ „ერთობა“—„ბორბას“. ორივე მენშევიკური ნეიტრალური გაზეთები ყვირის მოწინააღმდეგ „ერიდიან“ გვიპასუხებენ ჩვენ. ამ პასუხის აზრი ასეთია, რომ ვითომ ცოდვაა დავსწამოთ საქართველოს მენშევიკებს, რომ ისინი ვითომდა რაიმე მოლაპარაკებას აწარმოებდენ ანტატანტასთან ბათომის მათზე ამა თუ იმ ფორმით გადაეცემის შესახებ, იმ ბათომის, რომლის შემოსაერთებლათ როგორც ეტყობა ბევრი „ძალა და ენერგია“ დაუხარჯავთ საქართველოს მენშევიკებს და რისთვისაც „სერიოზული უთანხმოება“ ქონდათ ინგლისთან.

ჩვენ განუსაზღვრელ ბედნიერათ ჩავსთვლიდით ჩვენს თავს, რომ გვწამდეს მენშევიკების ეს ფიცი, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყვეთ იმაში, რომ მენშევიკებს წარსულში მართლაც და ქონდათ „სერიოზული უთანხმოება“ ინგლისთან და ისინი მომავალშიც იარაღით ხელში გაიღაშქრებენ დამპყრობელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელთაც დასჭირდებათ, თუ უკვე ეხლაც არ სჭირიათ ბათომი, რომ აქედან შექმნას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ფრონტი ვინაიდან ინგლისს ფეხებზედაც არ ჰკიდია წვრილი ერთვნებების—მათ შორის საქართველოს ხალხის—სასიცოცხლო ინტერესები. სიმართლე რომ ვსთქვათ, ჩვენ ეხლა მოკლებული ვართ საშუალებას კრიტიკა გაუკეთოთ მენშევიკების ფიცს, რადგან არ ვიცით იმ მოლაპარაკების შინაარსი, რომელსაც აწარმოებენ მინისტრები გეგეჭკორი და კანდელაკი დასავლეთის იმპერიალისტებთან. ჩვენ არ ვიცით თუ რა დათმობებზე წავიდენ გეგეჭკორ—კანდელაკი დასავლეთის გაუმაძღარ ფინანსიურ კაპიტალის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს, რომლებიც არ არიან ჩვეული თუნდაც დამოუკიდებლობა „მისცენ“ ვისმეს, თუ არ მიიღეს მათგან სამაგიეროთ არაჩვეულებრივი დიდი ეკვივალენტი. ჩვენ არაფერ თუ არ ვიცით ყოველივე ეს, არამედ მენშევიკების ამ ფიცში ვხედავთ მათ ცდას, რომ ოთხ-ოროლა არაფრის არ მთქმელი ფრაზებით მიაფუჩეჩონ ეს კითხვა. რას ნიშნავს მაგალითად ფრაზა იმაზე, რომ მენშევიკებს ბათომის გულისათვის ვითომდა „სერიოზული უთანხმოება“ ქონოდეთ ინგლისთან, როდესაც მოელმა ქვეყანამ იცის ის, თუ როგორ ეფედრებოდენ მენშევიკები და დაშნაკები ინგლისის გენერლებს და ინგლისის მთავრობას დაეტოვებინათ ამიერ კავკასიაში ინგლისის ჯარები, როდესაც ისინი წითელ ჯარების ჩრდილო კავკასიისთან მოახლოვების გამო, გავიდენ ბაქოდან და თბილისიდან? ინგლისთან რომელ უთანხმოებაზე, შეტაკებაზე და ძალების დახარჯვაზე შეიძლება ლაპარაკი იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენთაგანს კარგათ ახსოვს ბათომის ოლქიდან მოსული „სამხედრო ოპერატიული ცნობები“, სადაც შემდეგი ეწერა: „ინგლისელების ნებართვით ჩვენ შევედით ართვინში, ინგლისელების თანხმობით ჩვენ დავიკავეთ ეს და ეს სოფელი და სხვა და სხვა. ძნელია ასეთ „შეტაკებების“ უარყოფა მარტო ფრაზებით და სიტყვიერ რწმუნებებებით.

მაგრამ როგორც არ უნდა იყვეს მენშევიკების პირადი შეხედულება და ზრახვანი,—დაუშვათ, რომ ისინი მართალ არიან და სწორათ გამოხატავენ საქართველოს მშრომელთა არსებითს ინტერესებს, დაუშვათ, რომ იმათ სრულიათ შეგნებული აქვთ, რომ მთავრობა, რომელიც ამა თუ იმ საბაბით უთმობს ბათუმს ანტანტას, დიდ ხანს ვერ დარჩება მთავრობათ თითქმის ამ განაწამებ საქართველოშიაც. შეუძლიათ კი მენშევიკებს დაგვარწმუნონ, რომ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტები ამ ჟამათ არ ადგენენ გეგმას ბათუმის დასაპერათ, რათა საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ახალი ფრონტი შექმნან? ხომ-კი ამაშია ბათუმის შესახებ ჩიჩერინის ნოტის სიმძიმის ცენტრი? და ამ ნოტის გამო უსაბუთოდ გაბუტულ-გაჯავრებულთა მიერ—თავისი თავის შეუარცხყოფილათ გამოცხადება ჯერ-ჯერობით ნაადრევია. აკი თქვენი პარტია, ბატონებო, 1918 წელს ოსმალების მიერ ბათუმის აღების შემდეგ აგრეთვე სდებდა ფიცს, რომ არასდროს დასთმობდა საქართველოს რკინის გზებს ოსმალების ჯარების გადასაყვანად—დეე მოვიდენ და ძალით წაგვართვან, ჩვენ კი არამც და არამც ხელს არ მოვაწერთ ასეთს პირობას, ხელების ქნევით გაიძახოდა მაშინ ცნობილი ოქროპირი—ი. წერეთელი, მაგრამ ორი კვირის შემდეგ არა თუ რკინის გზები იქნა დათმობილი, არამედ ანტანტის ძღვნათ ბათუმის ოლქს საქართველოს ორი მაზრაც მიაყოლეს. და უბრალოთ კი არ დაუთმიათ: საჭიროებისათვის ჩაიდინეს ეს ვითომც კეთილი საქმე და დღემდის ირწმუნებიან, რომ მაშინდელი სითავმდგომარეობა და მშვიდად მოქცევა უუბრძნესი, დემოკრატიული და თითქმის სოციალისტური პოლიტიკის აქტები იყო.

და თუ ეს მართლაც ასე იყო, თუ თქვენ უზრუნველყოფილი ყოფილა არ ბართ, რომ ასეთივე მოვლენები ისევ განმეორდეს იმავ ბათუმის ოლქში, მაშინ გვიპასუხეთ: თქვენ საჭიროთ ცნობთ, რომ თავისი პოლიტიკური ხედგავლენის საშვალებით საბჭოთა რუსეთმა საქართველოსაც, აზერბაიჯანსაც და რუსეთსაც ეს დიდი საფრთხე თავიდან ააცილოს? ამ საფრთხის დასაწყისი ანტანტის მხრივ ბათომის დაკავება იქნება. და თუ გრძნობთ ამას, შეურაცყოფილათ თავის გამოცხადება და ცილის წამება რას ნიშნავს? პოლიტიკურ მოქმედებებში მხოლოდ სინდისიერება და სიცხადეა საჭირო.

საბჭოთა რუსეთის პრესა

«КАЖИННЫЙ РАЗ НА ЕФТОМ САМОМ МЕСТЕ»

თავის დროზე გაზ. „პრავდამ“ აღნიშნა მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლების საქართველოში გამგზავრება. „პრავდის“ ბათომელი კორესპონდენტი იუმორით აღწერს ვანდერველდ-გიუსმანსთან ერთად და კაუცკის თავის განუყრელ ლუიზათი იმ ქვეყანაში ჩამოსვლას, სადაც გარდა სპეკულიაციისა (პოლიტიკური და ეკონომიურისა) და ყალბი, შეკეთებული სოციალიზმისა არსებობს აგრეთვე მშვენიერი, თვალწარმტაცი ყაზბეგის მწვერვალი და კახეთი, რომლის შესახებ, უეჭველია არა უმიზეზოთ—ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს თავის გამოსამშვიდობებელ წერილში m-lle გიუისმანსი, რომელსაც ისე გაგიგებით შეყვარებია ეს მშვენიერი მომხიბლავი ბუნების სურათები. საქართველოს გაზეთებიდან რამდენიც ვნებავთ იმდენი სახუმარო შტრიხების ამოღება შეიძლებოდა. ჯერ ერთი, რათ ღირს ის ფაქტი, რომ საწყალობელი კარლ კაუცკი მთავრობამ საქართველოსაგან ეკვივალენტი იძულებული იყო მიეტოვებია დამპალი გერმანია და დამპალი საფრანგეთი და როგორც ახალი დროის იაზონი, ეძებნა კავკასიაში ისეთი ქვეყნები, რომლებიც „კაუცკიანელ“ მე-2 ინტერნაციონალს სალამ-ქალამს მიუძღვნიდენ.

ამა რათ ღირს ის სურათი, როდესაც საქართველოს მთელი ყვითელი პრესა დაუნის გვირგვინს ადებს მე-2 ინტერნაციონალის პაციოცემულ მასწავლებელს თავზე და თვალ-ცრემლიანი აცხადებს: „აბა, ერთი შეხედეთ, თუ როგორ საქართველო, ბარბაროსულ მოსკოვიდან გამოყოფილი, ეზიარა ევროპის ცივილიზაციას“-ო. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მე-2 ირტერნაციონალის თეორეტიკის პატივცემული მუმია, მიუხედაეთ ძლიერი კუბის ტკივილისა მაინც წავიდა საქართველოში შავი ზღვის აღქაფებული ტალღების გზით, მხოლოდ იმიტომ, რომ სულიერათ დაისვენოს ამ ქვეყანაში, რადგან ევროპის მთელი წყეული ისტორია თვისი იმპერიალიზმით, რომელიც ერსებობს მხოლოთ, კაპიტალისტების გაუგებრობით, მათ და უნებურათ, და სამჯერ წყეული კომუნიზმი, რომელიც წარმოიშვა მუშების შეგნებლობით და ლენინის ბოროტი ბუნების გამო, აუტანელი შეიქნა კაუცკისათვის. ყველაფერი ეს თუ გინდ გამამართლებელი იყვეს კაუცკისათვის, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ბატონი რენოდელი, მინისტრი ვანდერველდე და ინგლისის შრომის პარტიის პარლამენტის კომიტეტის „სახელოვანი“ ბელადი ტომ-შოუ, თუმცა დიდი მოყვარული არიან კახურის, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მარტო ამ მიზეზების გამო წავიდენ საქართველოში. რაშია აქ საქმე, ამას მკითხველი გაიგებს ქვემოთ მოყვანილ ფაქტების დაპირდაპირებით.

მე-2 ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესი წინაღმდეგ წავიდა მოკავშირეთა მიერ საბჭოთა რუსეთის საქმეებში სამხედრო ინტერვენციისა. მაგრამ ამავე დროს ის საბჭოთა „იმპერიალიზმის წინააღმდეგაც წავიდა, რადგან ის იბურობს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, როგორც მაგალითად აზერბაიჯანი. როდესაც აზერბაიჯანი დაიკავა ინგლისელებმა, მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ აზერბაიჯანის საქმეებისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანის მაძებარ პოლიციას ხელმძღვანელობენ პატივცემული ინგლისელი ტრედიუნიონელები. მხოლოდ მის შემდეგ, რაც თათრის სპეკულიანტების და მუსულმანების ბურჟუაზიის პარტია გადაყენებულ იქნა მთავრობიდან და ბაქოს ნავთს დაეპატრონენ ბაქოს მუშები, რომლებიც მიუხედავათ მძიმე პირობებისა დიდ ენერგიას ხარჯავენ, რომ რუსეთის მუშათა კლასს მიაწოდონ ის—მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო ბატონმა ტომ-შოუმ, რომ არსებობს აზერბაიჯანი, მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა კავკასიის კითხვებით მთელი მე-2 ინტერნაციონალი.

სწორეთ იმ დროს მოხდა მე-2 ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში გამგზავრება, როდესაც ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო საქართველოს მთავრობასთან საქართველოსათვის ფულის სესხების საკითხის შესახებ. საქართველოს ბევრი არაფერი აქვს ისეთი, რითაც შეეძლოს მას ამ სესხის განაღდება. საქართველოს შავი ქვის მადნები ინგლისელ ფინანსისტების აზრით, არ არის საკმაო ამ სესხის გასანაღდებლათ და ამიტომ ინგლისის მთავრობამ საქართველოსაგან ეკვივალენტი მათზე (ინგლისზე) გადაცემა.

ბათომი სჭირდებათ ინგლისელებს, როგორც ოსმალეთის აჯანყებულების საწინააღმდეგო საოპერაციო პუნქტი და აგრეთვე, როგორც პირველი კარები კავკასიისა და პირველ რიგში ბაქოს და საპერათ. ბაქოს დაპერით, ბატონნ ინგლისის იმპერიალისტებს იმედი აქვთ, რომ თავს გაინთავისუფლებენ ახლო აღმოსავლეთში ბალშევიკურ-კომუნისტურ აგიტაციის ცენტრისაგან, ამასთან ერთად ინგლისელები ფიქრობენ საბჭოთა რუსეთი მოსწყვიტონ ნავთის ცენტრს.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი ფართე ოპერაციების დაწყება შეუძლებელია უიმისოთ, თუ რომ ამას წინ არ უძღვის პოლიტიკური მომზადება. ამ პოლიტიკურათ მომზადებისათვის წავიდა მე-2 ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში, რომლის ნაწილი, როგორც კაუცკი და დებრუკერი თვის და უნებური სათამაშო ნივთებია ინგლისის ხელში, ხოლო დელეგაციის სხვა წევრები კი, როგორც მაგ. მინისტრი ვანდერველდე, როგორც ბატონი რენოდელი, „რომელიც პოლონეთში ბრძანდებოდა—არ ვიცით ვისი ფულებით: და ბატონი შოუ, უკვე შეგნებულათ გამოსული პოლიტიკური აგენტები არიან ინგლისის ხელში.

როგორ იდგეს ამ ვაებატონებმა თავის თავზე ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს შავი, პოროტი განზრახვების ხელის შეწყობა? ისინი გამოდიოდენ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის და საქართველოს დემოკრატიის თაყვანისმცემლებათ ბარბაროსულ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ ისინი იცავდენ საქართველოს დამოუკიდებლობას ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების წინააღმდეგაც.

მკითხველს ეხსომება, რომ რამდენიმე ხნის წინათ, ვიდრე მე-2 ინტერნაციონალის დელეგაცია ჩავიდოდა საქართველოში, ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კოლბიმ გრძელი, ცხარე ნოტით გაილაშქრა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და აგრეთვე ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგაც, რადგან ის (ინგლისი) აწარმოებს რუსეთის დანაწილების პოლიტიკას. იმ დროს, როდესაც ინგლისის კაპიტალი ცდილობს ჩამოაცილოს რუსეთს ყველა ის განაპირა ქვეყნები, რომელთაც რუსეთისათვის საგაერო კარების მნიშვნელობა აქვთ, როგორც მაგალითად ლატვია და ესტლიანდია, ან კავკასია, რომელიც აერთებს რუსეთს წინა აზიასთან, რომლის ხელში ჩაგდება სურს ინგლისს, ამავე დროს ამერიკის კაპიტალის სურვილია რუსეთის მთლიანათ დარჩენა, რათა მთელი რუსეთი დაუმორჩილოს თავის ტრესტებს. ამერიკის კაპიტალი შეურიგდა რუსეთიდან პოლონეთის და ფილიანდიის გამოყოფას, რადგან ისინი სამხედრო ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ამავე დროს ის სასტიკი წინააღმდეგია განაპირა პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოების.

კოლბის ნოტამ ძლიერ შეაწუხა საქართველოს მთავრობა. თავის თავად ცხადია რომ მ-ნნი წერეთელი, ეორდანია და სხვები, რომლებიც ალიზარდენ ყოველგვარ სეპარატიულ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში, ცხადია, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი არიან იმდენათ და იმ დრომდის, რამდენ ხანსაც რუსეთი მუშათა კლასის ხელში იქნება. ხვალ რომ რუსეთში ბურჟუაზიული მთავრობა გამეფდეს ისინი სიხარულის ცრემლებს დაღვრიან მეტის ბედნიერებისგან გაჩკოვების გულზე. იმ დროს, როდესაც ბატონი გეგეჭკორი თავის ყველა ტოვარიტების ძიებედვით თავის კოლბისადმი საპასუხო ნოტაში რომის გაზ. „ტრიბუნაში“ ამტკიცებს, რომ რუსეთმა არ შეასრულა საქართველოს მიმართ თავისი დაპირება-ვალდებულებები, რითაც ბოლო მოუღო საქართველოს რუსეთთან თავისუფალ შეკავშირების საქმესო, ამავე დროს საქართველოს მენშევიკების გაზეთი გვარწმუნებს, რომ ისინი მათდა უნებურათ არიან სეპარატისტები. მაგრამ დამოუკიდებლათ იმ მიზეზებისა, რამაც ის ველიკო-როსიელი პატრიოტები—საქართველოს მენშევიკები—საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთ გახდა, მიუხედავათ ამისა მათ სურთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნონ მოკავშირეებმა, რადგან უამისოთ ისინი ვერ მიიღებენ სესხს.

და აი, იმ დროს, როდესაც ინგლისის მთავრობას სურს საქართველოს გამცემლობის თანხმობით საქართველოს ტერიტორიით გაილაშქროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, როდესაც ინგლისის მთავრობას სურს საქართველოს თანხმობით დაიკავოს ბათომი, ის გზავნის ვაებატონებს მე-2 ინტერნაციონალის რაზმებიდან საქართველოში.

მე-2 ინტერნაციონალის დელეგაციის წევრების მოქმედება და მათი იუმორისტული მოგზაურობა ჩოჩორით კახეთის ღვინის ქვევრებისაკენ გადიქცა მოქნილ პოლიტიკურ ოპერაციათ.

მე-2 ინტერნაციონალის დიდათ პატივცემული დელეგაცია თავის როლს ასრულებს ისე, თითქოს ნოტებზე იმღერისო, ის საბჭოთა რუსეთის მიმართულებით მუშტებს იქნევს, ლაპარაკობს საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს ეუბნება საქართველოს მე-2 ინტერნაციონალი მის რიგებში ხომ ანტანტას მინისტრები არიან—დაიცავს საქართველოს თავისუფლებას და საქართველოს დამოუკიდებლობას (იხილე რენოდელის სიტყვა—გაზ. „თფილისის სლოვოში“ 21 სექტემბერს მოთავსებული).

ეს უკანასკნელი განცხადება კოლბის ნოტის კომპენსაციაა. ამ რიგათ ჩვენს წინაშე სწარმოებს ერთგვარი ხაქმის მოპახრაკება მე-2 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ საქართველოს მენშევიკებსა და ინგლისის იმპერიალისტებს შორის.

«Кажинный раз на ефтом самом месте!»

ომის განმავლობაში მე-2 ინტერნაციონალი თავის სხვა და სხვა პარტიების სახით ერთი მეორესთან შებრძოლ სახელმწიფოების ხელში მუშათა მასსებზე გავლენის მომხდენ როლს ასრულებდა. მოკავშირეთა გამარჯვების დღიდან მეორე ინტერნაციონალი ამ როლს ასრულებს და აღრმავებს ხალხის მასსებში, როგორც ვილსონიზმისადმი სიყვარულს.

ეხლა ის აშკარათ გადვიდა ლონდონში და იქ გადიქცა ის ინგლისის პოლიტიკის იარაღათ. ამ მდგომარეობას მე-2. ინტერნაციონალი მიაფუჩეჩებს პაციფისტური ან დემოკრატიული ფრაზებით, მაგრამ გჯეროდეთ, რომ ბატონი კერზონიც პაციფისტი და დემოკრატია, თუ არ ვიტყვით არაფერს ლოიდ ჯორჯზე, რომელიც სანამ სიტყვას იტყოდეს ერთიანათ სცურობს დემოკრატიულ და პაციფისტურ ფრაზებში.

ვისაც აკვირვებს მეორე ინტერნაციონალის ეს როლი, მას არაფერიც არ გაეგება მსოფლიო მდგომარეობის. რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ინტერნაციონალი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგია, ეს კონკრეტულათ იმას ნიშნავს, რომ ის იცავს ბურჟუაზიულ დემოკრატიას პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ევროპის სათავეში სდგას ინგლისი, იმას ყველაზე უკეთ ეხერხება კაპიტალის დიქტატურა დემოკრატიული საღებავებით შეალამაზოს, ამიტომაც ეჩქენებათ მესსიათ ლლოიდ ჯორჯი ბ-ნნ გიუსმანსებს, ვანდერველდებს და მე-2 ინტერნაციონალის სხვა ძმა-ბიჭებს ლლოიდ ჯორჯის კარნახით ეხლა ისინი იმოგზაურებენ ყველგან და მოამზადებენ ნიადაგს ინგლისის იმპერიალიზმისათვის. თბილისს გამგზავრება ეს პირველი მათი ნაბიჯი იყო გზაზე გადადგმული.

კ. რადეკი.

ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან)

საზღვარ-გარეთ

ტრაპიზონის ახალი გუბერნატორი

ტრაპიზონი, 12 ნოემ. ტრაპიზონის ბერძნული გაზეთი „ეპოხი" იტყობინება: „საბერძნეთის მეტროპოლიტის წარმომადგენელმა 7 ნოემბერს ინახულა ახალი გუბერნატორი ნური-ბეი. გუბერნატორმა მოწიწებით მიიღო წარმომადგენელი, და თხოვა მას გადასცეს სალამი ადგილობრივად მცხოვრებ ბერძნებს. ნური-ბეი დაპირდა, რომ ის ესტუმრება „ბერძნების ნაციონალურ საბჭოს".

სერრატი გადის „ავანტი"-ს რედაქციიდან

რეველი, 30 ოქტ. ვინაიდან კონფლიქტი მოხდა ტურინის და მილანის „ავანტი"-ს შორის, სერრატიმ უარი განაცხადა ტურინის „ავანტი"-ს რედაქტორობაზე. ტურინის „ავანტი" ამის გამო სწერს, რომ სერრატის გადაწყვეტილება დაგვირგვინებაა იმ აუტანელ მდგომარეობისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ გაზეთის რედაქცია მოქმედებს რა ტურინის კომიტეტთან შეთანხმებით, არ შეუძლია დატოვოს უპორტესტოთ მახვილის ჩაცემა, რომელსაც რუსეთის რევოლიუციას უპირებენ.

დოსტოევსკის ბიოგრაფია

პეტერბურგი, 2 ნოემ. რენის გამომცემლობამ ციურიხში გამოუშვა ფ. მ. დოსტოევსკის ბიოგრაფია, რომელიც დაწერილია განსვენებულ მწერლის ქალიშვილის მიერ.

მრეწველობის კრიზისი ინგლისში.

მოსკოვი. 5 ნოემ. „დეილი გერალდი" სტატიაში „ბედლამის ეკონომიური პოლიტიკა"-ში სწერს: „დღევანდელ მომენტში, როდესაც ათასობით ხალხი ყველა ქვეყნებში დაუზოგველათ სწირავს თავის შრომას საქონლის წარმოებისათვის, რომელიც მათთვის ასე აუცილებელია, კაპიტალისტები უსპობენ მათ ამის საშვალებას, ვინაიდან „მოთხოვნილება არ არსებობსო". დაუთავებელ ოქმებს, რომლებსაც აწარმოებდენ კაპიტალისტები, ქონდათ თავისი მიზანი ახალ ბაზრების დაპყრობა, მაგრამ ჩვენ ხლა ვხედავთ, რომ ომები ანგრევენ და ანადგურებენ ბაზრებს. წინათ ყველა ამტკიცებდა, რომ გერმანიის განადგურება მიიზიდებს ბედნიერებას ინგლისის ხალხს, ახლა კი ყოველ მხრიდან გაისმის საჩივარი გერმანიის ბაზრის დაკარგვაზე, რომელიც ყოველწლიურად 40 მილიონ გირვანქა სტერლინგის საქონელს ყიდულობდა ინგლისიდან. დეე იცოდენ ინგლისის მუშებმა, რომ სიმშილი, რომ სიმშილი, სილატაკე, დანაკლისი და უმუშევრობა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, გამოწვეულია ბრიტანიის მთავრობის პოლიტიკის მიერ.

ახალ კაბინეთის დაპირებანი.

სტამბოლი, 7 ნოემბერი. გაზეთი „ბოსფორი" სწერს:

„არ გავა არც ერთი დღე, რომ ახალმა კაბინეთმა არ გამოაქვეყნოს ახალი პროგრამა. ცენზურის საკითხი, სამხედრო სასამართლოების კითხვები ძალიან აინტერესებენ მინისტრებს. შეიძლება ყოველივე ეს ხდება წინასწარ განზრახვით, რათა მიიყუჩონ საზოგადოებრივი აზრი და მთავარი ფაქტი ახალ სამინისტროს ძირითად მიზნის შესახებ მიმალონ, რაც ანატოლიასთან შეთანხმებაშია. თავიდანვე ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება.

თუ ავწონ-დაწონით ყველა განცხადებებს, რომლებსაც აქვეყნებს ხან ერთი და ხან მეორე მხარე, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მანძილი, რომელიც აცილებს სტამბოლს ანგორიდან ძალიან დიდია. ცენტრალური მთავრობა ღებულობს სევრის ხელშეკრულებას, მაშინ, როდესაც ანატოლიას მისი ხსენებაც კი ეჯავრება.

კაბინეთის დაპირება იმაშია, რომ განახორციელოს შინაური ხასიათის რეფორმები, მარა ეს არ იქნება გატარებული, თუ ანატოლიასთან არ იქნა შეღებული რაიმე შეთანხმება".

სტამბოლში

ბათუმი, 18 ნოემ. სტამბოლიდან ჩამოსული პირები შემდეგს გვიამბობენ:

„სტამბოლში, მოკავშირეების შეწყლის დღიდან ცხოვრება პირდაპირ აუტანელი შეიქნა, ყოველ დღე რყო ძარცვა გლეჯა, მაგრამ ახლა, როდესაც ახალი მთავრობა შედგა, მდგომარეობა ცოტა შეიცვალა და გაუმჯობესდა. ინგლისელები თითქმის გავიდენ სტამბოლიდან, მხოლოდ ჯერ კიდევ ზღვის ნავთსადგურებში დგანან. საფრანგეთის ჯარისკაცები სრულებით არა სჩანან.

წინეთ ოსმალეთის ყოველ სადარაჯო ადგილებზე იდგა 3 ინგლისის და 2 იტალიელი, ახლა კი მარტო ოსმალები არიან ერთი სიტყვით მოკავშირეები არ ერევიან უკვე ოსმალეთის შინაურ საქმეებში. მთავრობა უკვე აუქმებს საშხედრო ცენზურას, რომელიც დააწესა ინგლისის მთავრობამ. ახალი კაბინეთი შედგება ორი მოწინააღმდეგე მიმართულებისაგან პირველია ანტანტის ორიენტაციის, მეორე, მეორე კი გერმანიის, მაგრამ როგორც ერთი ისე მეორე მიმდინარეობა ესწრაფვის მუსტეფა ქემალთან შეთანხმებისაკენ.

ძველი მთავრობა ყოველივე ნდობას მოკლებული იყო ხალხში და მართლაც მისი გადადგომის შემდეგ დიდი ბოროტ-მოქმედებანი აღმოაჩინეს, განსაკუთრებით ფინანსიურ დარგში. ძველი კაბინეთის ორმა მინისტრმა ჩაიგდო ხელში რამოდენიმე მილიონი, წავიდა ამერიკაში და იქედან მოიწერა თხოვნა გადადგომის შესახებ.

ხალხს სჯერა, რომ ახალი კაბინეთი შესძლებს შეცვალოს სევრის ხელშეკრულება ოსმალეთის სასარგებლოთ.

ცხოვრება სტამბოლში სრაა ძვირი, მხოლოდ ძვირია პირველ მოთხოვნილების საგნები: პური ოყა ღირს 18 პიასტრი, ხორცი—120 პიასტრი, შაქარი—80. სხვა საგნებზე ფასები ყოველ დღე ეცემა. ეს აიხსნება იმით, რომ მოკავშირეების ფულის კურსი ძალიან ეცემა. რუსი გადმოხვეწილები სტამბოლში, განსაკუთრებით მშრომელი ხალხი ძალიან დიდ გაჭირვებაშია, ბურჟუა კი ქეიფობს და აუარებელ ფულს ხარჯავს".

კერზონი სპარსეთზე.

მოსკოვი, 21 ნოემბ. კერზონმა პარლამენტში განაცხადა, რომ ინგლისს სურს შეანარჩუნოს სპარსეთს დამოუკიდებლობა და უნდა დაეხმაროს სპარსეთს არმიის შესაქმნელად გარეშე მტრებისაგან დასაცავად. ინგლისმა მისცა დრო სპარსეთის მთავრობას 4 თვე პარლამენტის მოსაწვევად და ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულების სარატიფიკაციოთ. თუ ეს იქნება შესრულებული, ამას აცნობებენ ხალხთა ლიგას, თუ არა და ინგლისის ჯარებმა უნდა დაიკავონ სპარსეთი.

შვედელ მუშების მოთხოვნილება.

მოსკოვი, 21 ნოემბ. შვეიცარიაში, ათ მთავარ სამრეწველო დაწესებულების მუშები, რიცხვით 120 ათასი იმუშრებიან გაფიცვით, რომლის დაწყებას ფიქრობენ პირველ იანვრიდან. თუ არ იქნებიან ისინი დაკმაყოფილებული ხელფასის მომატებით.

პროფესიონალური მოძრაობა შვეიცარიაში

მოსკოვი, 21 ნოემ. შვეიცარიაში პროფესიონალური მოძრაობა აღწევს უმწვეტრვალეს წერტილს. მუშათა და მწარმოებელთა შორის დიდი განხეთქილებაა სამუშაო ქირის შესახებ.

იაპონიის სამხედრო მინისტრის განცხადება

მოსკოვი, 21 ნოემ. იაპონიის სამხედრო მინისტრმა შემდეგი განაცხადა: „მიუხედავათ იმისა, რომ ყველა გაიძახის იაპონიის პოლიტიკის დამარცხებას ციმბირში, მე ვამბობ, რომ ეს შეცდომაა, იაპონიას თავის დასაცავათ მოუხდება დატოვოს ჯარები ციმბირში. ბუფერულ სახელმწიფოს შექმნის შესახებ მან ეჭვი გამოთქვა, რომ ეს სახელმწიფო ვერ „შორდება კომუნიზმსო".

გერმანელი კომუნისტები

ნაუენი, კომუნისტური პარტია აქვეყნებს თავის შინაურ პოლიტიკის პრინციპებს. წარმოების ყოველი დარგი ირჩევს თავის წარმომადგენელს. ამ წარმომადგენლებისაგან არსდება პარტიული საბჭო, რომელშიაც შედის 300 დელეგატი. ეს დელეგატები ირჩევენ თავის წრიდან კომიტეტს, რომელიც სრულუფლებიანია, რომ მართოს პარტიის საქმეები. პარტია სავსებით ემორჩილება კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ბურჟუაზიული რეაქცია ავსტრიაში.

ლიონი, ვენიდან იტყობინებიან, რომ ნაციონალურმა საბჭომ ხმის უმრავლესობით 94 ხმით (ქრისტიან სოციალისტებისა და პანგერმანისტებისა) 54 ხმის წინააღმდეგ (სოციალისტების) დამტკიცდა ავსტრიის ახალი კაბინეტი, მეორის თავმჯდომარეობით (ქრისტიანი სოციალისტი), რომელიც არის აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი. მინისტრების უმრავლესობა ქრისტიანი სოციალისტებია.

ვრანგელის განადგურების შემდეგ.

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საფრანგეთის

საბჭოთა რუსეთში

ხოფელთან საქონლის გაცვლა.

მოსკოვი, 5 ნოემბ. მიმდინარე სოფლისათვის გასაგზავნათ დამზადებული იყო 130 მილიონი არშინი ფართლეულობა, 7 მილიონი 200 ათასი ფუთი ნავთი, 7 ჯერ მეტი ვიდრე ეს წასულ წელს იყო. 5 მილიონი ფუთი მარილი—ორჯერ მეტი ვიდრე გასულ წელს.

ორთქმავალების შეკეთება.

კავკავი, 31 ოქტ. კავკავის რკინის გზის სახელოსნოებმა სექტემბრის თვეში შეაკეთეს 203 ორთქლმავალი. ეს რიცხვი 35 ორთქმავალით მეტია შესაკეთებელ ნორმაზე.

ორთქლმავალები: „სპარტაკი" და „ბუდიონი".

მოსკოვი, 31 ოქტ. პენზის მე 7 სამაზრო სიეზდის დროს პენზის რკინისგზელებმა ზედმეტ საათების მუშაობის დროს შეაკეთეს ორი ორთქლმავალი. ორთქლმავალებს დაარქვეს სახელათ ერთს „სპარტაკი" და მეორეს „ბუდიონი". გასინჯვის დროს ორთქლმავალებმა ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. ორთქლმავალებმა ზოგ ადგილას საათში 120 ვერსი გაიარეს.

ვაგონების შეკეთება.

პეტროგრადი, 26 ნოემბ. ამა წლის პირველ რვა თვის განმავლობაში ნიკოლაევის რკინის გზის სახელოსნოების მიერ შეკეთებულია 40 ათასი ვაგონი.

სასოფლო-სამეურნეო კომუნების ზრდა.

მოსკოვი, 5 ნოემ. სასოფლო-სამეურნეო კომუნების ზრდა რუსეთში შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1918 წელს ის იყო 950, 1920 წ. 1 იანვრისას—1468—და 1920 წ 1 სექტემბრს—1817.

მოსკოვის მიდამოებში ბოსტნები.

მოსკოვი, 5 ნოემ. მოსკოვის ახლო მდებარე სათესი მინდვრები, რომელშიაც შედიან ბოსტნებიც, წელს გაიზარდა შარშანდელთან შედარებით 40 პროც. (1920 წ.—5729 დეს.)

ცოცხალი ინვენტარი.

მოსკოვი, 5 ნოემ. მოსკოვის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას 1918 წელში ყავდა 800 ცხვარი, და ძროხა, და 596 ცხენი; 1919 წ.—1920 წ. ცხვრისა და ძროხის ჯოგის რაოდენობა იმატა—1500-მდე ხოლო ცხენებისამ კი 1837-მდე.

მიწის მუშების ყრილობა.

მოსკოვი, 20 ნოემბ. სრულიად რუსეთის მორიგი ყრილობა, მიწის მუშების კავშირების და ტყის მუშების, მოწვეულია მოსკოვში დეკემბრის თვეში. დღიური წესრიგი: 1) ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშები, 2) კავშირების ამოცანები, 3) სასოფლო წარმოების გეგმა, 4) სატარიფო კითხვა, 5) კულტურულ-პოლიტიკური საკითხი, 6) ორგანიზაციული კითხვები, და 7) მიმდინარე საქმეები. ყოველი 500 წევრი, გზავნის ერთ წარმომადგენელს. არჩევნები უნდა მოხდეს საგუბერნიო ყრილობებზე.

ელექტრონი სოფლებში.

მოსკოვი, 20 ნოემბ. სმოლენსკის გუბერნიის მაზრებში ამუშაედა სამი ელექტრონის სადგური, რომელიც გაანათებს გლეხების ქოხებს.

მრეწველობის აღორძინება სერპუხოვში.

მოსკოვი, 20 ნოემბ. შარაპოვის შალის ფაბრიკამ თავის წარმოება მიიყვანა იმ ნორმამდის, როგორიც იყო ომამდის. ნედლი მასალა ფაბრიკას საკმაო მოეპოება.

ლ. ტროცკი

პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი

V პარიზის მუშა—1871 წ. პეტერბურგის პროლეტარი 1917 წ.

(დასასრული იხ. „ახ. კომ." № 98.)

საერთაშორისო პროლეტარიატი თავისი მიზნათ ისახავს ძალა-უფლების დაპყრობას. დამოუკიდებლივ იმისა, ეკუთვნის სამოქალაქო ომი „საზოგადოთ" აუცილებელ ატრიბუტებს რევოლიუციისას „საზოგადოთ" თუ არა, უეჭვოთ რჩება ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის მოძრაობამ რუსეთში, გერმანიაში და ყოფილ ავსტრო-უნგრეთის ნაწილებში მიიღო მკაცრი სამოქალაქო ომის ხასიათი, ამასთან არა მარტო შინაურ, არამედ გარეშე ფრონტებზედაც.

თუ კი ომის წარმოება არ არის ძლიერი მხარე პროლეტარიატისა და მუშათა ინტერნაციონალი „ამოსადეგია მხოლოდ მშვიდობიანი ეპოქისთვის, მაშინ რევოლიუციასაც და სოციალიზმსაც ჯერარ უნდა დაუსვათ, რადგან ომის წარმოება შეადგენს საკმაოდ ძლიერ მხარეს კაპიტალისტურ სახელმწიფოსას, რომელიც ომრთათ არ დაუთმობს მუშებს მართვა-გამგეობის საქმეს. მაშინ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ ეგრედ წოდებულ „სოციალისტური" დემოკრატია გამოვაცხადოთ კაპიტალისტური საზოგადოების და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ხასათ, ვ. ი. აშკარათ ვაღიაროთ ის, რასაც პოლიტიკაში აკეთებენ ებერტები, შეიდემანები, რენოდელები და რის წინააღმდეგაც სიტყვებით ვითომც და ჯერ კიდევ ილაშქრებს კაუცკი.

„ომის წარმოება საზოგადოთ არ არის ძლიერი მხარე პროლეტარიატისა".

მტკნარი ტყუილია! რუსეთის მუშებმა გვაჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ მოიხმაროს ეგრეთვე „ომის ინსტრუმენტიც". ჩვენ აქ ვამბობთ კომუნასთან შედარებით წინ გადადგმულ ერიგანტიულ ნაბიჯს.

ეს არ არის კომუნის უარისყოფა—რადგან კომუნის ტრადიციებია არა მისი უძლურება, — არამედ მისი საქმის გაგრძელება. კომუნა სუსტი იყო. რომ მის მიერ დაწყებული საქმე დაგვემთავრებია, ჩვენ ძლიერი შევიქენით. კომუნა დაამარცხეს. ჩვენ კი ლახვარს-ლახვარზე გვსურს შეანარჩუნოს სპარსეთს დამოუკიდებლობა და უნდა დაეხმაროს სპარსეთს არმიის შესაქმნელად გარეშე მტრებისაგან დასაცავად. ინგლისმა მისცა დრო სპარსეთის მთავრობას 4 თვე პარლამენტის მოსაწვევად და ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულების სარატიფიკაციოთ. თუ ეს იქნება შესრულებული, ამას აცნობებენ ხალხთა ლიგას, თუ არა და ინგლისის ჯარებმა უნდა დაიკავონ სპარსეთი.

შვედელ მუშების მოთხოვნილება.

მოსკოვი, 21 ნოემბ. შვეიცარიაში, ათ მთავარ სამრეწველო დაწესებულების მუშები, რიცხვით 120 ათასი იმუშრებიან გაფიცვით, რომლის დაწყებას ფიქრობენ პირველ იანვრიდან. თუ არ იქნებიან ისინი დაკმაყოფილებული ხელფასის მომატებით.

პროფესიონალური მოძრაობა შვეიცარიაში

მოსკოვი, 21 ნოემ. შვეიცარიაში პროფესიონალური მოძრაობა აღწევს უმწვეტრვალეს წერტილს. მუშათა და მწარმოებელთა შორის დიდი განხეთქილებაა სამუშაო ქირის შესახებ.

იაპონიის სამხედრო მინისტრის განცხადება

მოსკოვი, 21 ნოემ. იაპონიის სამხედრო მინისტრმა შემდეგი განაცხადა: „მიუხედავათ იმისა, რომ ყველა გაიძახის იაპონიის პოლიტიკის დამარცხებას ციმბირში, მე ვამბობ, რომ ეს შეცდომაა, იაპონიას თავის დასაცავათ მოუხდება დატოვოს ჯარები ციმბირში. ბუფერულ სახელმწიფოს შექმნის შესახებ მან ეჭვი გამოთქვა, რომ ეს სახელმწიფო ვერ „შორდება კომუნიზმსო".

გერმანელი კომუნისტები

ნაუენი, კომუნისტური პარტია აქვეყნებს თავის შინაურ პოლიტიკის პრინციპებს. წარმოების ყოველი დარგი ირჩევს თავის წარმომადგენელს. ამ წარმომადგენლებისაგან არსდება პარტიული საბჭო, რომელშიაც შედის 300 დელეგატი. ეს დელეგატები ირჩევენ თავის წრიდან კომიტეტს, რომელიც სრულუფლებიანია, რომ მართოს პარტიის საქმეები. პარტია სავსებით ემორჩილება კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ბურჟუაზიული რეაქცია ავსტრიაში.

ლიონი, ვენიდან იტყობინებიან, რომ ნაციონალურმა საბჭომ ხმის უმრავლესობით 94 ხმით (ქრისტიან სოციალისტებისა და პანგერმანისტებისა) 54 ხმის წინააღმდეგ (სოციალისტების) დამტკიცდა ავსტრიის ახალი კაბინეტი, მეორის თავმჯდომარეობით (ქრისტიანი სოციალისტი), რომელიც არის აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი. მინისტრების უმრავლესობა ქრისტიანი სოციალისტებია.

ვრანგელის განადგურების შემდეგ.

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საფრანგეთის მენტში იმალებოდენ, კომუნის წინააღმდეგნი არ იყვნენ; პირიქით, ისინი აქტიურად თუ პასიურად მხარს უჭერდენ მას; მაგრამ ისინი იყვნენ ნაკლებად შეგნებულნი, ნაკლებად გამბედავნი. პოლიტიკური დემოკრატიის ასპარეზზე მათი დაბალი შეგნება შესაძლებიათ ავანტიურისტებს, ქუჩის მაწანწალებს, მეშჩანურ შარლატანებს და პატიოსან სულელებს, რომლებიც თავისი თავსაც იტყუილებდენ, მაგრამ აშკარა კლასობრივი ომის დროს ისინი სრულად თუ ნაწილობრივ მიყვებოდენ თავდადებულ უმცირესობას. ეს იყო, რომელმაც ნახა თავისი გამოხატულება ნაციონალური გვარდიის ორგანიზაციაში. კომუნის არსებობა რომ უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, ეს ურთიერთშორის დამოკიდებულება ავანგარდის, და პროლეტარულ მასსებისა უფრო და უფრო გამაგრდებოდა. ის ორგანიზაცია, რომელიც აღმოცენდებოდა და განმტკიცდებოდა ამ აშკარა ბრძოლის პროცესში, როგორც ორგანიზაცია მშრომელ მასსებისა,—იქნებოდა მათი დიქტატურის ორგანიზაცია—შეიარაღებული პროლეტარიატის დეპუტატების საბჭო.

ეურნ. „კომუნისტური ინტერნაციონალი" № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის ფრონტებზე

„ქაღალდის ზავი“

სოხუმში გამოდის ბერძნული გაზეთი „ნეა-ზოი“, რომელიც თავის სტატიაში სათაურით „ქაღალდის ზავი“ შემდეგს სწერს: „თოქმის ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ რაც გერმანიასთან ხელმოწერილია ზავი. მაგრამ აქედან ჯერ არავითარი ნაყოფი არა სჩანს. მუშები და გლეხები თოფ-ქვეშ არიან გაჩერებული, მიმოსვლა არ არის აღდგენილი, ყველა ქვეყნების ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა უნუგეშოა, ხალხები იტანჯებიან.

ეი იმ ზავის ნაყოფი, რომელზედაც ხელი მოწერეს ბურჟუაზიულ წესწყობიღების წარმომადგენლებმა. ეს მოვლენა ცხადზე უცხადესად გვაჩვენებს, რომ დადგარია სრული გაკოტრების ხანა ძველი მეთოდებისათვის.

ოსმალეთში ისევ ომია: იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა რევოლიუციონურ ცეცხლის ალში არიან გახვეულნი. კაპიტალიზმი ეხლა სულს ლაფავს. ის კარგათ გრძნობს, რომ 1914 წელს დაწყებული ომი მათ ძვირათ დაუჯდებათ და მათ მიერ მოწერილი ზავის პირობები მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯებათ გადიქცევა. ხალხები უკვე იღვიძებს ლეტარგიულ ძილისაგან და მოითხოვს კაპიტალიზმის და მილიტარიზმის უღლისაგან განთავისუფლებას. უკვე სამუდამოთ გაფრინდა ბურჟუაზიისათვის ბრწყინვალე დღეები, როდესაც მას დამონებული ყავდა მუშათა მასსები.

კლასობრივი ომი დაიწყო და გაგრძელდება კიდეც მანამდის, სანამ არ იქნება ერთხელ და სამუდამოთ განადგურებული მყვლეველთა კლასი. მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის საქმე დამოკიდებულია რუსეთის რევოლიუციაზე.

რუსეთის დაწყნარება ნიშნავს მთელი ქვეყნის დაწყნარებას.

ბურჟუაზიის მთელი საშუალებები პალიტიკური ხასიათისაა და მათ არ შეუძლიათ ნამდვილი დადებითი ნაყოფის მოცემა.

კაპიტალიზმის დამპალი შენობა დაირღვა და მის ადგილზე შენდება საუცხოო რამ შენობა—სოციალიზმის სასახლე, რომელიც წინამორბედია მთელი ქვეყნის ბედნიერების.

ბრძოლისთვის მომზადება.

მოსკოვი, 21 ნოემბერი. „იზვესტიაში“ მოთავსებულია წერილი სათაურით—„ბრძოლისთვის მომზადება,“ რომელშიაც ნათქვამია—რომ მსოფლიო ბურჟუაზია კვლავ იკრებს ძალებს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობასთან შესაბრძოლებლათ. მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიას ხელთ აქვს მშრომელ მასების მორალური და ფიზიკური ხელგავლენის ყოველგვარი შესაძლებლობანი, იგი მაინც ეგრძნობს თავის კრიტუკულ მდგომარეობას.

მონარქიულ საფრანგეთს ფეხზე ყავს დაყენებული 700,000 ჯარის კაცი. მაგრამ მათზე ნდობა აქვს დაკარგული საფრანგეთის მთავრობას და სპეციალურათ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველათ მოხალისეთა ბანდებს აწყობს. ამით საფრანგეთის ბანკირებს სწადიათ ჭარბათ დატენილი ჯიბეები დაიცონ:

გერმანიას არ ჰყავს მრავალრიცხოვანი ლაშქარი, მაგრამ იქ, რესპუბლიკანურ მთავრობის ლოცვა-კურთხევით, ეწყობა კაპიტალის ერთგულ ენდარმებისაგან შეადგენილი ლეგალური და ნახევრად ლეგალური ბანდები.

ყველაზე უფრო დიდი ორგანიზაციაა პოლკოვნიკ ეშერიხის ბრბო, „რგუშათ“ სახელწოდებული. ამ აშკარა მონარქიულ ორგანიზაციას ასულდგმულებს კაუცკის დემოკრატიის მთავრობა, რომელსაც მისი ჩვეულებრივი ნიჭის მეოხებით შეუძლია საჭიროების დროს მუშებს სისხლის გაღება გამოუწეროს. ეს ენდარმერია საერთაშორისო ხასიათს ღებულობს, მისი გავლენა ვრცელდება ავსტრიაში და ჰუნგრეთში. აგრეთვე ასეთსავე ისტორიას აქვს ადგილი იტალიაშიაც და უნგრეთშიაც.

ინგლისში ეწყობა ათასგვარი მოხალისეთა რაზმები მშრომელთა ანარქიულ გამოსვლების წინააღმდეგ.

იხსნის კი ეგ ფაცა-ფუცი დაგრდომილ კაპიტალისტურ ქვეყანას? „რუსის ხალხის კავშირშა“ ვერ იხსნა რომანოვთა ტახტი: იგი ალგავა რუსეთის რევოლიუციამ და მის გაბრწნილ გვამის სამკვიდრებელში შრომის წითელი დროშა ალმართა და საფუძველი ჩაუყარა კომუნისტურ აღმშენებლობას. მაგრამ დასავლეთის მუშები რუსეთის პროლეტარიატის მიერ ნაჩვენებ გზას გაყვებიან და შავრაზმელთა ყოველგვარ ორგანიზაციებს შეუბრალებლივ გააცამტვერებენ“.

რევოლიუციის ფრონტებზე

რეაქციის ყირიმში დამარცხების შემდეგ.

ლიონი, 21 ნოემბერი. ყირიმიდან სტამბოლში ჩავიდენ დე-მარტელი, ადმირალი დიუმენილი, გენ. გრუსსო და საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლობა. ფრანგები 18 ნოემბერს ჩავიდენ გემით. ვალდეკ რუსო“-თი ვრანგელს 19-ში და 20-ში მოელოდენ. ყირიმიდან სტამბოლში 105,000 ლტოლვილი ჩავიდა, მათში 25 ათასი შტატის მცხოვრებია, და 80 ათასი სამხედრო.

მთლათ ყირიმიდან სტამბოლში 150 ათასი ლტოლვილს მოელოდენ. საფრანგეთის მთავრობა ზვიადათ უწვდის ხელს და კაცთ მოყვარეობით ლტოლვილებს. ფრანგებს განზრახული აქვს ათი ათასი შტაბის მოქალაქე სტამბოლში დატოვოს, 20 ათასი—გალიპოლში. ბრიტანიის და ამერიკის მთავრობის წარმომადგენლებმა თავისი სურსათ სანოვაგის და ტანსაცმელების საწყობები ფრანგებს გადაცეს.

სამხრეთის ფრონტის გმირებო!

მოსკოვი, 21 ნოემ. სამხრეთის ფრონტის სარდალმა ფრუნძემ სიმფეროპოლში მიმართვა გამოსცა ყირიმის ფრონტის გმირ არმიის მიმართ, სადაც ნათქვამია: „ბრძოლის ველის ამხანაგებო, სარდლებო და კომისრებო! თქვენი გმირული, თავგანწირული ბრძოლით და მუშების და გლეხების ძვირფას სისხლის საფასურით აღებულია მთელი ყირიმი. დღიდან წითელი დროშა ამაყათ ფრიალებს ყირიმის ბურმუტოვან ველებზე. ამ წითელი დროშით მრისხანე აჩრდილი ფეხდა-ფეხ მიერეკება მტერს, რომელიც თავის ხსნას ხომალდებზე გადასვლით ეძებს.

50 ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთის ფრონტი დაარსდა. ამ მოკლე დროს განმავლობაში განადგურებულ იქნა ვრანგელი და მოისპო მისი მუქარა—დაეკავებია დონის ოლქის ქვანახშირის რაიონი. მტრებისაგან გაწმენდილია მთელი დნეპრის მხარე და დაკავებულია მთელი ყირიმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ჯარების გმირული ბრძოლა, რომლითაც ისინი იბრძოდენ იუშუნთან; მსროლელ დივიზიის შეტაკებები ჩანგარის გადასავლელთან და 1 და-2 ცხენოსან არმიების ბარ-დამცემი მოქმედება, რომლებმაც ორჯერ უფრო ადრე შეასრულეს თავიანთი დავალებები. აღსანიშნავია ყველა იმ გმირთა თავდადება, რომლებმაც ახალი გამარჯვება მოუპოვეს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკას.

სამხედრო ოპერატ. რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბ. „რევოლენოსოვეტისა“.

სამხ. დასავლეთ. ფრონტი.

მოსკოვი, 22 ნოემბ. ჩვენმა წითელმა ნაწილებმა აიღეს ქ. მოზირი. მოწინააღმდეგის შემოტევებს ვიგერიებთ. წამოვიყვანეთ მრავალი ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. რეჩიცის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლებია.

კოროსტენ-მოზირის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება.

ლეტიჩევის რაიონში, თანახმად ზავის პირობებისა პოლონელებმა დასტოვეს ქ. ლეტიჩევი და დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა.

ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები უტევენ დამარცხებულ პეტლიურას ჯარებს, რომლებიც მიჭყლეტილი არიან პოლონეთის საზღვრებზე.

დამატებით ცნობების თანახმათ. კერჩის ნაკუთსადგურში ჩვენ ჩავიგდეთ ხელში 34 სხვა და სხვანაირი გემი მოწინააღმდეგის, ამათ რიცხვში 4 დიდი გემია და 12 საბუქსირო ხომალდი.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლენოსოვეტის ვოენკომის მაგიერ კლიმი.

ოპერატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლენოსოვეტის

მოსკოვი, 20 ნოემ. მოზირის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე პრიპიატი და აწარმოებენ ბრძოლებს ქ. მოზირის ასაღებათ.

რეჩიცის რაიონში ჩვენმა წითელმა ნაწილებმა უკუაგდეს მტერი და ავიწროვებენ მათ პრიპიატისაკენ. 10—18 ნოემბრის ბრძოლებში ჩვენ წამოვიყვანეთ 1,400 ტყვე 40 ოფიცერი, 32 ტყვიის მფრქვეველი, 20 ზარბაზანი თოფები და დავლა. კოროსტენ—მოზირის მიმართულებით ცვალებადი ხასიათის ბრძოლებია. დასავლეთით ჩვენი ნაწილები დევნიან მტერს, რომელიც იხევს მდ. უბორტისაკენ.

საქართველო. კომუნისტური პარტიის უველა ორგანიზაციებს და წევრებს

ცენტრალური კომიტეტი აუწყებს უველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს, რომ ი. გ ო ქ ა ძ ე გამორიცხულია პარტიიდან, რის გამო პარტიულ საქმეების შესახებ მასთან რაიმე დამოკიდებულებას ადგილი ალარ უნდა ჰქონდეს.

ქუთაისის გუბერნიის კომუნისტურ ორგანიზაციების დროებითი გუბ-კომი გამოცხადებულია დაშლილათ. ქუთ. გუბ-კომის რგვალი დიდი ბეჭედი გაუქმებულად ითვლება. ორგანიზაციები დამატებით მიიღებენ დაწვრილებითი ცნობებს იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ცენტრ. კომიტეტის ასეთი დადგენილება.

საქართველ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალ. კომიტეტი.

ვოლოჩინსკის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ ქ. ჩორნი ოსტროვი.

კამენეც პოდოლსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მიაღწიეს მდ. ქვანჩისო. ნეიტრალურ ზონის საზღვარზე.

ყირიმში სიწყნარეა, გრძელდება ტყვეების რეგისტრაცია, და დავლის სიმრავლის გამოკვლევა.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოლენოსოვეტის ვოენკომი დანიშვასკი.

გაფიცვები ნორვეგიაში.

მოსკოვი, 21 ნოემბ. პარასკევს იწყება გაფიცვა ნორვეგიაში ელექტრონის სადგურების მუშების და ქრისტიანიაში გაზის ქარხანაში. ეს გაფიცვა გავრცელდება მთელ ქალაქის მოსამსახურეებზედაც.

ბრძოლა გერმანიის ქვანახშირის მაღაროების ნაციონალიზაციისათვის.

ნაუენი, 21 ნოემბ. სოციალ-დემოკრატ ლეფლერმა შეკითხვა შეიტანა რეიხსტაგში ქვანახშირის მადნების ნაციონალიზაციის შესახებ. შეკითხვაში ლეფლერი წინააღმდეგია იმ პროექტის, რომლის ძალით განზრახულია წვრილი „წილის“ შემოღება მუშებისათვის, რათა დაინტერესონ მუშები წარმოების განვითარების საქმეში. სამეურნეო საქმეთა მინისტრ შოლიმ გაილაშქრა ლეფლერის წინააღმდეგ და სთქვა, რომ მთავრობა იმ თვალსაზრისზე სდგას, როგორც დაგვიხატა ამ ერთი თვის წინათ. კანცლერმა მაშინ სთქვა რომ ქვანახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის შესახები კანონ-პროექტი შეტანილი იქნება რეიხსტაგში, როგორც კომისია და ეკონომიური საბჭო რაიმე განსაზღვრულ შედეგამდის მიაღწევენ. რადგან ეკონომიურ საბჭოსა და სოციალიზაციის მომხდენ კომისიას შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ მთავრობას ჯერ კიდევ ვერ გადუწყვეტია, თუ როგორი პრინციპებით იხელმძღვანელოს სოციალიზაციის შესახებ კანონ-პროექტის საკითხში. სიტყვის დასასრულს შოლციმ მოუწოდა პარლამენტის წევრებს იხელმძღვანელონ არა პარტიული პოლიტიკით, არამედ ეკონომიურ მოსაზრებით. ამ მოწოდებას ბურჟუაზიული პარტიები მქუხარე ტაშის კვრით შეხვდენ, როდესაც სოციალისტებმა, უმთავრესათ დამოუკიდებლებმა ხმა მაღლა გამოსთქვეს თავისი უკმაყოფილება. ერთმა დამოუკიდებელმა სოციალისტმა ადგილიდან წამოიძახა: „მაღაროს მუშები თვით გიპასუხებენ თქვენ ამ კითხვაზეო“.

ინგლისში

მოსკოვი, 21 ნოემ. ინგლისის მუშათა გაზეთები მოუწოდებენ „მოქმედების საბჭოს“ მიიღოს ზომები იმისთვის, რომ წინ აღუდგენ ბურჟუაზიის გარზრახვას გააჭიანურონ და გაამწვაონ მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან.

დახმარება ფრონტს.

მოსკოვი, 22 ნოემბ. ნიჟნი ნოვგოროდში „ფრონტის დახმარების კვირაში“, შეაგროვეს 13 ათასი შაბარა, 30 ათასი ყაბალახი, 4 ათასი ცალი საცვალი და სხვა საგნები.

ღღიური.

ბალახოვიჩის ბანდები განადგურებულია. წითლებმა აიღეს მოზირი. ხელთ იგდეს 1400 ტყვე, 40 ოფიცერი, 2 ზარბაზანი, 32 ტყვიისმფრქვეველი, აუარებელი ვინტოვკები და სხვ.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე წითლებმა აიღეს ჩორნი ოსტროვი.

ქ. ლეტიჩევა დასტოვა პოლონეთის ჯარმა საზავო პირობების ძალით და დაიკავა წითელმა ჯარმა.

ჩიჩერინმა მიმართა ანტანტის უველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, საშვალება არ მისცენ თავიანთ მთავრობებს ბათუმი ჩაიგდონ ხელში.

მუშათა ცხოვრება

ჩვენში

მეჯვდითი კავშირის გამგეობის ხელახალი არჩევნები.

14 ნოემბერს მოხდა მეჯვდითი კავრის გამგეობის არჩევნები. არჩევნებში ხმის უმრავლესობა კომუნისტების ს�მ მიიღო. ამ აშბაგმა მწარეთ შეაშფოთა შენშევიკები. მოკრიფეს მთელი ძალლონე და წარსულ საერთო კრების პრეზიდიუმს მოაწვევეს ხელ-ახლათ კრება ახალი არჩევნებისათვის—21 ნოემბერს. კრება თუმცალა 10 საათზე უნდა გახსნილიყო, მაგრამ გაიხსნა 12 საათზე კრების ხსნის.

იგი აცხადებს: პრეზიდიუმში შემოვიდა „სლოვოს“, „სახალხოს“, „ერთობის“, „საქ. რესპუბლიკის“, მთავრობის სტამბის მბეჭდავებიდან ახალი არჩევნების წინააღმდეგ პროტესტები. ისინი თხოვლობენ ხალახალ არჩევნებსო. პრეზიდიუმს, სურს რა რომ არ დაირღვეს კავშირი, მიიღო მხედველობაში ეს პროტესტი, რომელსაც ეერთდება 163 კაცი და მოიწვია დღეს კრება ახალ არჩევნებისათვის.

შეკითხვაზე —იყო თუ არა ეს პროტესტანტები მაშინდელ არჩევნებზე თავმჯდომარე უპასუხებს:

მათგანი ბევრი აქ იყო. მაგრამ, როგორც აცხადებენ, გაუგებრობით პირველის მაგიერ მეორე ნოემბრისთვის მიუციათ ხმა.

ახალი გამგეობის სახელით სიტყვას ღებულობს ამხ. იაშვილი. იგი თანხმობას აცხადებს ხელახლათ არჩევნებს მოხდენაზე. როგორ უნდა მოგიქცეთ ჩვენ, მეშები, ამბობს იგი, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ჩვენს კავშირში უნდა შედიოდეს ყველა მეშათა მიმდინარეობა პროპორციონალურათ. რევოლიუციამ მოვიხდინეთ მუშებმა, ამ რევოლიუციის ნაყოფთაგანია თვით საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ კრიზისის დროს-კი ყველაზე უფრო უმწეო მდგომარეობაშია ვართ საქართველოში მეშები.

იაშვილს თავმჯდომარე აწყვეტინებს ლაპარაკს, როდესაც იგი შეუდგა განმარტებას იმისას, თუ როგორ უნდა დაირაზმონ მუშები პროფესიონალური კავშირებში, რა მიზნები უნდა ჰქონდეთ დასახული მათ და სხვა.

შემდეგ გამოდიან მთელი რიგი მენშევიკ-ბულბულების, დიაკვანივით იმეორებენ ათასჯერ გადანაცოხნ-გადანადგურ დემაგოგიას. ერთი მათგანი ამბობს:

თუ ბალშევიკური გამგეობა დარჩა, არაფერი გაკეთდება. საკმაოა ამისთვის გადავხედოთ საბჭოთა რუსეთს და სამ. ადერბეიჯანსო, იქ სრულიად არ იციან პროპორციონალური არჩევნები. ჩვენი მეშები არ შეცდებიან. ამას დღესვე დავინახავთ: მეშები ჩვენ გამოგვყვებიან და არა კომუნისტებს, რომლებიც მთელ რუსეთს ანადგურებენო.

თანამეშვილი (მენშევიკი): 14 ნოემბრის არჩეული გამგეობა ვერ დარჩება, ვინაიდან მისი არჩევნებში მონაწილეობა 223 კაცმა მიიღო; ამ გამგეობის წინააღმდეგ პროტეს აცხადებს-კი 163 კაცი.

შემდეგ იგი ეხება იაშვილის მიერ დასმულ საკითხს შეერთებაზე. ბალშევიკები ვერ ურიგდებიან, ვერ ეთვისებიან ფედერალისტებს, დაშნაკელებს და სხვებს, ამბობს იგი, და ამიტომ ჩვენ მათ კომუნისტებს ვერ შეურიგდები. ჩვენ კი ყველას—ფედერალისტებს, დაშნაკელებს ანგარიშს უწევთ, უთვისდებით. როგორც სხვა კავშირებში არ არის ბალშევიკური გამგეობა, ისე ვერც ეს გამგეობა იარსებებს (ხმები: ალბათ მეტებში გადიყვანთ!..) ეს გამგეობა დაიშლება; ბევრს წინააღმდეგობას წააწყდება (ხმები: არ მოისვენებენ „ატრიადელები!“)

შემდეგ მას წინადადება შემოაქვს: კენჭი ეყაროს დარჩეს ახალი გამგეობა თუ ხელახალი არჩევნები.

ერთხმათ მიიღეს წინადადება, მოხდეს ხელ ახალი არჩევნები. ადგენენ გაიმართოს კამათი თუ როგორი სისტემის არჩევნები მოხდეს.

სიტყვას ღებულობს იოსებ იმედაშვილი. ამეტყველდა იგი ენა წყლიანი „სოციალისტი“ ახალი კლუბიდან.

ბეჭვდითი კავშირი სხვა კავშირებისთვის მაგალითი უნდა იყოს. თუ არის სხვა რომელიმე კავშირი, მათგან ეს კავშირი, ყველაზე უმჯობესი უნდა იყოს. მრავალი ამგვარი ტრაფარეტული ფრაზების ამოლაგების შემდეგ, იგი იგონებს წარსულ და ახლანდელ კრებებზე კომუნისტების სიტყვებს: არ შეიძლება იმათთან თანამშრომლობა, ამბობს იგი, ვინც ცხადათ და მალულათ სამარეს გვითხრისო.

ამბობენ, მეშები, რომლებმაც რევოლიუცია მოახდინეს, უფრო დაჩაგრული არიანო. მითხარით ვინ არის ბედნიერი? იკითხება ივი მაცდურათ. არავინ. არ არის ბედნიერი, გარდა სპეკულიანტებისა, ყველა საშინელ პირობებშია დღეს: დემოკრატიულია ინტელიგენცია, მასწავლებლობა, მოსამსახურეები სამღვდელოება და სხვა (ხმები: ერთი მეშე ბურჟუები“).

ქართველ ხალხს თუ რამ დოვლათი და სიკეთე გააჩნდა დუშეთის, სამეგრელოს, გურიის, ადერბეიჯანის ფრონტების ჩაქრობამ ჩანთქა, მოინდომა ამ ფრონტებს კომუნისტები ხელმძღვანელობდენ. კომუნისტები ჩვენს განადგურებას ცდილობენ, როგორც გაანადგურეს აზერბაიჯანი, როგორც ანადგურებენ და სპობენ საბრალო, საწყალ სომხეთს!“ (არა მგონი, ჩვენზე უფრო გებრალებოდესთ სომხის ხალხი: სომხეთთან ომში სიმამაცისთვის მგონი, ჯვარიც მიიღეთ შარშან). ამ საკითხზე სრულიათ არ ულაპარაკია. როდესაც გაათავა, არტისტიულად ზარი დაურეკეს, ვითომც გააჩუმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ თვი იმართლა იმით, რომ ვითომც კომუნისტსაც მისცა უწინ ნება პოლიტიკურ კითხვასაც შეხებოდა.

წულაძე. იგი იგონებს იმ დროს, როდესაც ბოლქვაძესთან ერთად საიდუმლო სტამბაში მუშაობდა.—ჩვენ დიდხანს ერთად ვიყავით სოც.-დემოკ. პარტიაშიო; მოხდა რასკოლი: მან ბოლშევიკობა არჩია მე, —მენშევიკობა. მე ბოლქვაძე მეუბნება ახლა, რომ შენ ყორდანიას, რამიშვილის და კედია-ფაჩულიას გეშინია და იმიტომ ხარ მენშევიკო.— ბარა შენ ვამბობ, რომ არავისი მეშინია. „მშიერი ვიყავი როდესაც ყორდანია ციხეში იჯდა, მშიერი ვარ დღესაც, როდესაც იგი მთავრობაა! ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ მე შიშით არ ვარ მენშევიკი.

სატარიფო პალატას ცილს ეერავინ დასწამებს. მაგრამ წინააღმდეგ დიდი სურვილისა, მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება ობიექტიური პირობების გამო შეუძლებელია.

შემდეგ გააპირა დემოკრატიზმზე და სოციალიზმე ლექციის წაკითხვა, მაგრამ აწყვეტინებენ და აგონებენ არჩევნების სისტემაზე ლაპარაკს. შესდგომოდა. ამის შესახებ ლაპარაკზე უარს აცხადებს. ჯდება.

კომითი (სინამდვილეში—დემაგოგია) წყდება. ლებულობენ არჩევნების პროპორციონალური არჩევნების სისტემას.

იწყება მენშევიკების ლოცვა-ლიტანიები.

თამაზაშვილი: ჩვენ იმ ნიადაგზე ვდგევართ; რომელზედაც 14 ნოემბერს ვდგეკით; უნდა აირჩეს ახალი გამგეობა. იგი გამომხატველი უნდა იქნეს უმრავლესობის „გაუგებრობას“ ადგილი არ უნდა ექნეს. თორემ იქნება ისევ ხელახალი არჩევნები იქნეს საჭიროო... (ე. ი., რომ ეს უკანასკნელი წინადადება ჩვენებურ ენაზე გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს: თუ ჩვენ ვერ მივიღეთ უმრავლესობა, ეს არჩევნებიც უნდა გავაუქმოთო.

ამასობაში დარბაზი ივსება ჭრელი საზოგადოებით, საეგვო პირებით. მენშევიკებს მფარველად და ბედის კეთილათ წარსაბრძოლად დარბაზში ჩნდებიან გუნდნი ანგელოზთა კედის დასიდან და მფარველი ანგელოზებათ უდგებიან მენშევიკებს მხრებში. თამაზაშვილი „გაუგებრობის“ შელოცვას კიდევ ასრულებს და ამბობს: რომ არ მოხდეს ის გაუგებ, რობა, რომელსაც 14 ნოემბერს ჰქონდა ადგილი, ვაცხადებთ, რომ ჩვენი სია № 1, ბოლშევიკების—№ 2.

თავმჯდომარეც იმეორებს „გაუგებრობის“ შელოცვას.

აცხადებენ კანდიდატთა სიებს. ირჩევენ საკონტროლო კომისიას. თამაზაშვილი თავმოსაბეზრებლათ ასრულებს „გაუგებრობის“ შელოცვას. მას იმეორებს თავმჯდომარე და რამოდენიმე მენშევიკი.

კენჭის ყრის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ № 1-მა მიიღო 262 და № 2 162. ერთი ამხანაგმა დაიგვიანა და ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, ჩვენ იგი არ მივიღეთ, თუმცა № 1 აძლევდა ხმასო და ამიტომ თქვენც უნდა დაიკლოთ ერთი და ხმა, რომელიც მისცა ვეიან მოსულმაო. დანაგვიანები ამხანაგი, რომელიც უკვე სცენაზეა და რომელსაც მათი ფიქრით № 1 უნდა მიეცა ხმა, სიტყვას ღებულობს და ამბობს: „მე საჩვენებლათ გამოვართვი №1, რომ ნება დაერთენ კენჭი ჩამეგდო. კიდეც დამრთეს ნება. მაგრამ ყუთთან რომ მივედი და მეორე ნომერი დამინახეს ხელში, შემდეგ ისევ უკან გამაბრუნეს.“-ო

ამ გაბედულ პასუხმა თავს რეტი დაცა მენშევიკებს. ფერი ეცვალათ. გარინდდენ, საბრალოთ შეტორტმანდენ. უაზროთ, დაბნეულათ აფათურუბდენ ხელებს. ამხანაგს, რომლის პასუხმა ასეთი ყუმბარა გახეთქა მენშევიკების თავზე და რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდიუმის მაგიდასთან იდგა სცენაზე, მიუხდა კულისებიდან ერთი აქინდრული მკლავაძე (ცინცაძე) და დაუწყო თავ-პირში ცემა მუშტებით. გალახული ამხანაგი ცაბანცალდა, მას ხელი სტაცეს და რამოდენიმემ კულისებისკენ გაიყვანეს (არ ვიცით სად წაიყვანეს).

ასეთი „დიდი გამარჯვება“ იგემეს მენშევიკებმა ერთი კვირის დიდი მზადების შემდეგ.

მ. ე. ლ.

საზღვარ-გარეთ

ყვითელ პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის შესახებ.

მოსკოვი, 18 ნოემბერი. ღია წერილი პროფესიონალური მოძრაობის ყვითელ ბელადების საერთაშორისო ყრილობაზე ლონდონში: „მოქალაქენო! თქვენ თქვენს ყრილობას პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ყრილობას უწოდებთ. სინამდვილეში კი ეს ყვითელ ლიდერთა ყრილობაა, რომლებიც მარადჟამს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგი არიან. თქვენ იტყვით, რომ ჩვენ ამ ფორმეც ამ წვრილით შეურაცხოფას ვაყენებთ მრავალ მილიონ ორგანიზაციულათ დარაზმულ მუშებს. შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ, იმდენი იყბედოთ. ჩვენ არ ვფიქრობთ შევურაცხყოთ ორგანიზაციულათ დარაზმული მუშები. ის გარემოება, რომ თქვენ, ყვითელ ბელადები მუშათა ორგანიზაციების სახელით რომ გამოდიხართ და ლაპარაკობთ, მუშების დანაშაული კი არ არის, არამედ მათი უბედურებაა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თქვენ მიერ „წარმომდგარ“ მრავალ მილიონ მუშებს შორის ბევრია შეგნებული და კეთილ-სინდისიერი, რომლებიც, საუბედუროთ, არ არიან იმდენათ დარაზმულ-შეიარაღებული, რომ თქვენ თავიდან შოგიშორონ. დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი დროც შორს არ არის. თქვენ წარმოადგენთ 28 მილიონ მუშას სწორეთ იმ გვარათვე, როგორც საფრანგეთის პალატის ბურჟუაზიული შარლატანი დეპუტატები — საფრანგეთის ხალხს. მარქსი ამბობს, რომ ბურჟუაზიული დეპუტატები კი არ „წარმოადგენენ“, არამედ „ახმობენ“ იმ ხალხის ნებას, რომლის სახელით ისინი ლაპარაკობენ.

რას შეებოდით, თქვენ, ყვითელ ბელადების დროს. თქვენ მუშათა კლასის ფრიად უვარგისი წარმომადგენლები იყავით. ლეგინი და კამპანია გერმანიის მუშებს უსისხლებდა საფრანგეთის მუშების წინააღმდეგ. ჟუო და კამპანია კი თავის მხრით იმავე ციხიზით სიმძულვარეს და მტრობას უნერგავდენ საფრანგეთის მუშებს გერმანელთა წინააღმდეგ ახლა ეს გამცემლები შეიკრიბნენ გაათეთრონ ერთმანეთი, მიუტევონ ერთმანეთს ცოდვები და შეინარჩუნონ ხაშვალება მომავალშიც ატყვილონ მუშები, თქვენ ხართ უფთიერთის დაბღვევის საერთაშორისო კავშირი, მუშათა საქმის გამყიდველ-გამცემლები. თქვენ ცდილობთ ერთმანეთს ააცილოთ ის რისხვა რომელიც მოგელით გამცემლობისთვის. იმპერიალისტებთან ერთათ თქვენც პასუხისმგებელი ხართ მილიონ დახოცილ გვამების, მრავალ მილიონ დაჭრილ-დასახიჩრებულთა, დამშეულ, გაღატაკებულ და გავერანებულთა წინაშე, ვინაიდან მიეხმატკბილეთ იმპერიალისტურ ომს, თქვენ აღიარებდით მას „დიდ განმათავისუფლებელ ომათ“.

თქვენ ეხმარებით ავაზაკებს ერთა ლიგიდან შრომის ბიურის შექმნაში. ვის არ გაანცვიფრებს „სოციალისტ“ ალბერტ ტომას საქციელი, რომელიც ცდილობს დაუმტკიცოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, რომ ვითომც ბურჟუაზია ბრუნავს შრომის დასაცავათ. გულში თქვენგანმა იცის, რომ საერთაშორისო შრომის ბიურო — ეგ კაპიტალისტური ორგანიზაციაა. მუშები მთელი ქვეყნის იჭერვება დღეს, რომ უკანასკნელი ბრძოლა გაუმართოს კაპიტალიზმს, რომ დაამსხვრიოს მისი წყობილება, რომელიც მარად ჟამს ყალყზე დგას მუშების საწინააღმდეგოთ. მთელი ქვეყნის შეგნებული მუშები კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშას ქვეშ და გარშემო შემოკრებილი ორგანიზაცია, რომელიც ისტორიამ წარმოშვა მიმართოს მუშათა მოძრაობა თვის დიად მიზნის მიღსაწევათ და ხელმძღვანელობა გაუწიოს მას. ის ამით გვაიძულებს მონობის კედლებს და ლეწავს ბორკილებს. თქვენ, ბურჟუაზიის ფერხთა ნატერფლის მტლეკველნო, არ შეგიძლიათ შეურიგდეთ იმ მოვლენას, რომ მუშებმა შექმნეს თავისი საერთაშორისო მოქმედების ორგანიზაცია.

საფრანგეთის ლეგინებიც არ ჩამორჩენ თავიანთ გერმანელ მეგობრებს. ბ. ბ. ჟუო, დემულენი და სხვა აგენტები საფრანგეთის ბურჟუაზიისა იბრძვიან საფრანგეთის კომუნისტების წინააღმდეგ. ყვითელ პროფეს. კავშირების უკანასკნელ ყრილობაზე გამოუცხადეს ომი კომუნისტურ ინტერნაციონალის მომხრეებს, რომლებიც შედიან საფრანგეთის შრომის კონფედერაციაში. ინგლისის სოციალ-გამცემლებიც ამას ეწევიან. გენდერსონი და სხვა ყვითელი ლიდერები ბრიტანიის მუშათა მოძრაობას გაიძახიან, რათა გამოყაყარონ კომუნისტი მუშები პარტიიდან და გააძევონ კომუნისტური კავშირები ტრედ უნიონებიდან. აიც ღირს ლაპარაკი იმაზე, რა უმსგავსობასაც ჩადის ამერიკაში გომპერსი და სხვა ქვეყნებში კიდევ ამისთანა ლიდერები.

ყვითელო ლიდერებო! ჩვენ ვლებულობთ თქვენს გამოწვევას. თქვენ უცხადებთ ომს კომუნისტურ ინტერნაციონალს. აწ ბრძოლაში მუშები არაფერს არ დაკარგავენ გარდა ბორკილებისა: თქვენ ჩაგრავთ მათ. ვებრძვით რა ჩვენ კაპიტალისტებს, უნდა ვებრძოლოთ მის აგენტებსაც, როგორიც თქვენა ხართ. შეგნებულ მუშებს ეზიზღებით თქვენ, ყვითელი ლიდერები, უფრო მეტათ, ვიდრე ბირჟის მეფეები და კაპიტალის მაგნატები. ნუ ეფარებით სოციალიზმის ლოზუნგებს, ნუ უწოდებთ თავის თავს მუშათა ბელადებს, როგორც ამას არ შვრებიან ჩვენი აშკარა მტრები—კაპიტალისტები.

ბევრი თქვენგანი, ბატონებო, გამოვიდა მუშათა წრიდან, ბევრმა თქვენგანმა მიიღო განათლება უბედურ მუშების კაპეიკებით, რომელიც მათ მძიმე შრომით მოიპოვეს. ბევრი თქვენგანი გამოვიდა ჩვენი წრიდან, ბევრ თქვენგანს ჯერ კიდევ ნდობენ მუშები. თქვენ შებილწეთ ის, რაც წმინდათა წმინდაა მუშებისათვის, თქვენ უსინდისოთ დაარღვიეთ თქვენი დაპირებანი და დაატყუილეთ მუშები სწორეთ იმ დროს, როდესაც წყდება საკითხი მუშათა კლასის ბედის, თქვენ, „მუშათა ლეიტენანტებო“ — კაპიტალიზმის მემკვიდრეებო, ხართ უსასტიკესი მტრები პროლეტარიატის. ყოველივე ის, რაც მუშებს აქვთ საუკეთესო, - ცოდნა, ცხოვრება და მუშაობის უნარი—თქვენ მოაქციეთ კაპიტალიზმის განკარგულებაში. თქვენ კარგად იცით მუშათა კლასის სუსტი და მაგარი მხარეები და თქვენ ამით სარგებლობთ, რომ უშველოთ კაპიტალისტებს მძიმე მომენტში. თქვენ შეიქენით „ბატონები“ თავის კლასიდან მოწყვეტილები. მინისტრის ერთი ღიმილი, ორი თრთი ბირჟების მეფეების გამოწვდილი თქვენთვის უფრო სასიამოვნოა ვიდრე მუშათა კლასის ნდობა. თქვენ აჩერებთ, აფერხებთ პროლეტარიატის მოძრაობას. მუშათა კლასი მიილტვის მოსპოს წესწყობილება, რომელიც დამყარებულია ხისხლზე და ძალადობაზე. თქვენ, მთავარი დასაყრდნობი ძალა ხართ კაპიტალიზმისა, რომელიც თავის უკანასკნელ წუთებს განიცდის. თქვენ მოდარაჯე ქოფაკი ძაღლები ხართ კაპიტალიზმის და ფუფეთ იმათ, ვინც მიუახლოვდება თვენს ბატონს, თქვენ— უკანასკნელი ბარიკადა ხართ კაპიტალიზმის რომელიც ბრძოლით უნდა აიღოს მუშათა კლასმა, რათა გაწმინდოს გზა ბედნიერებისაკენ და თავისუფლებისაკენ.

ყვითელო მეთაურებო! თქვენი ძალა ირყევა და ირღვევა, მას მალე მოეღება ბოლო. მომაკვდავ კაპიტალიზმის და თქვენი ხერხი ვერაფერ შედეგს ვერ გამოიღებს. მუშები მონახავენ თავიანთ გზას უთქვენოთ. მუშებმა ყველგან პირისიბრუნეს და ზურგი აქციეს ყვითლებს. თქვენი მეორე ინტერნაციონალი უკვე მიიცვალა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. ახლა თქვენ გინდათ გამაგრდეთ პროფესიონალურ მოძრაობაში, თქვენ გსურთ აღადგინოთ ტრედ-უნიონების „ინტერნაციონალი“ ამსტერდამში და ლონდონში. იცრდეთ, რომ ეს თქვენი უკანასკნელი საცდელიც დამარცხებით დათავდება. შეგნებული მუშები უკვე შემოკრებილნი არიან მოსკოვის საერთაშორისო პროფ. კავშირების ირგვლივ.

ტყუილებით და მაცდურობით თქვენ დროებით შეძლებთ შეაჩეროთ მუშები პროლეტარულ საერთაშორისო პროფ. კავშირების წითელ ინტერნაციონალში შესასვლელად, მაგრამ თქვენი ცდა ა